საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW –
IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY
FACULTY OF SOCIAL AND POLITICAL SCIENCES

№ 2/30 „01" 02 2016 წ

სსიპ- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის

**დეკანის ბრძანება №2/2016**

სსიპ- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პოლიტიკის მეცნიერების დეპარტამენტის უფროსის დანიშვნის შესახებ

„სსიპ- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოილტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულების (დამტკიცებული 2014 წლის 8 ოქტომბრის ფაკულტეტის საბჭოს №9 ოქმითა და თსუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს 2014 წლის 9 ოქტომბრის №6 ოქმით) 33-ე მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტების შესაბამისად პოლიტიკის მეცნიერების დეპარტამენტის საბჭოს 2016 წლის 18 იანვრის სხდომის №1 ოქმით მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე

**ვბრძანებ**

1. სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პოლიტიკის მეცნიერების დეპარტამენტის უფროსად დაინიშნოს პროფესორი მალხაზ მაცაბერიძე;

2. ბრძანების ფაკულტეტის ოფიციალურ ვებ გვერდზე, ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე განთავსებისა და შესაბამისი სტრუქტურული ერთეულებისათვის გადაცემის უზრუნველყოფა დაევალოს ფაკულტეტის კანცელარიას;

3. ბრძანება ძალაშია გამოცემისთანავე.

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა

ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი თამარ დოლბაია

ილია ჭავჭავაძის გამზ. 8, 0179 თბილისი, საქართველო
8, Ilia Tchavtchavadze Ave., 0179 Tbilisi, Georgia
http://www.social.tsu.ge
ტელეფონი: +(995 32) 229 05 94 Tel.
ფაქსი: +(995 32) 229 05 94 Fax.
ელ-ფოსტა: social@tsu.ge; E-mail

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა
ფაკულტეტის დეკანს, ქალბატონ თამარ დოლბაიას

ქალბატონო თამარ

2016 წლის 18 იანვარს ჩატარდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის, პოლიტიკის მეცნიერების დეპარტამენტის ხელმძღვანელის არჩევნები.

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პოლიტიკის მეცნიერების დეპარტამენტის ხელმძღვანელად ხმათა უმრავლესობით არჩეული იქნა პროფესორი მალხაზ მაცაბერიძე.

წერილს თან ახლავს სხდომის ოქმი.

სხდომის თავმჯდომარე

პროფესორი ალექსანდრე კუხიანიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა
ფაკულტეტი
შემოსული №87 3 გვ.
"25" 01 2016წ.
ხელმოწერა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის

პოლიტიკის მეცნიერების დეპარტამენტის საბჭოს

სხდომის ოქმი № 1

18 იანვარი, 2016

სხდომას ესწრებოდა: დეპარტამენტის საბჭოს 10 წევრიდან – 10

**სხდომას ესწრებოდნენ**:

პროფესორები: მალხაზ მაცაბერიძე, ალექსანდრე კუხიანიძე, კორნელი კაკაჩია;

ასოცირებული პროფესორები: გია ჟორჟოლიანი, სალომე დუნდუა, ნანა მაჭარაშვილი;

ასისტენტ-პროფესორები: ავთანდილ ტუკვაძე, ვალერიან დოლიძე, ზვიად აბაშიძე, ალექსანდრე წურწუმია;

**სხდომის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა** პროფესორი ალექსანდრე კუხიანიძე, ხოლო **მდივნად** - ასოცირებული პროფესორი სალომე დუნდუა.

დღის წესრიგი:

1. სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პოლიტიკის მეცნიერების დეპარტამენტის ხელმძღვანელის არჩევნები.

**მოისმინეს**: სხდომის თავმჯდომარის, პროფესორ ალექსანდრე კუხიანიძის ინფორმაცია პოლიტიკის მეცნიერების დეპარტამენტის ხელმძღვანელის ორი წლის ვადით არჩევის შესახებ. მან დამსწრეთ გააცნო ფაკულტეტის დებულების შესაბამისი მუხლები, რომლის მიხედვითაც უნდა წარიმართოს საარჩევნო პროცესი.

ალექსანდრე კუხიანიძემ სთხოვა საბჭოს წევრებს პოლიტიკის მეცნიერების დეპარტამენტის ხელმძღვანელის თანამდებობაზე კანდიდატურების დასახელება.

ასოცირებულმა პროფესორმა სალომე დუნდუამ დაასახელა პროფესორ მალხაზ მაცაბერიძის კანდიდატურა. სხვა კანდიდატურები არ დასახელებულა.

**დაადგინეს:** 1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პოლიტიკის მეცნიერების დეპარტამენტის ხელმძღვანელის კანდიდატურის არჩევა განხორციელდეს ღია კენჭისყრით. გადაწყვეტილება მიიღება ხმათა უმრავლესობით.

სხდომის თავმჯდომარე ალექსანდრე კუხიანიძემ კენჭისყრაზე დააყენა მალხაზ მაცაბერიძის კანდიდატურა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო დეპარტამენტის საბჭოს 10–მა წევრმა და ათივემ ხმა მისცა მალხაზ მაცაბერიძის კანდიდატურას.

დაადგინეს:

1. სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პოლიტიკის მეცნიერების დეპარტამენტის ხელმძღვანელად ხმათა სიითი უმრავლესობით არჩეული იქნა პროფესორი მალხაზ მაცაბერიძე;
2. ეთხოვოს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანს თამარ დოლბაიას, დაამტკიცოს პროფესორი მალხაზ მაცაბერიძე პოლიტიკის მეცნიერების დეპარტამენტის ხელმძღვანელის თანამდებობაზე.

სხდომის თავმჯდომარე

პროფესორი ალექსანდრე კუხიანიძე

სხდომის მდივანი

ასოცირებული პროფესორი სალომე დუნდუა

სხდომას ესწრებოდნენ:

1. მალხაზ მაცაბერიძე
2. ალექსანდრე კუხიანიძე
3. კორნელი კაკაჩია
4. გია ჟორჟოლიანი
5. სალომე დუნდუა
6. ნანა მაჭარაშვილი
7. ავთანდილ ტუკვაძე
8. ვალერიან დოლიძე
9. ზვიად აბაშიძე
10. ალექსანდრე წურწუმია